

ცენტრალური ხელისუფლების მიერ ადგილობრივი ერთეულებისთვის ფინანსური დახმარების გაცემის წესისა და მეთოდის შესახებ

მთავრობათაშორისი გრანტი (იგივე ტრანსფერი) განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ადგილობრივი მთავრობის (როგორც რეგიონული, ასევე ადგილობრივი) დაფინანსების ქვაკუთხედაა. ტრანსფერები ცენტრალურ მთავრობას სახელმწიფო ფინანსების სისტემის კონტროლის საშუალებას აძლევს, ვინაიდან მისი საშუალებით ხდება ფინანსური სახსრების გადადინება სხვადასხვა დონის ბიჯეტებს შორის. ტერმინი “ტრანსფერი” მოიცავს რამდენიმე სახის ინსტრუმენტს, ესენია: გრანტები, ზიარი გადასახადები, სუბსიდიები და სუბვენციები (ეს უკანასკნელი ნაკლებად გავრცელებული ფორმაა).

არ არსებობს დეცენტრალიზაციის, ერთიანი, ყველა ქვეყნისთვის საერთო წესები და მეთოდები. დეცენტრალიზაცია სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვაგვარად ხორციელდება და დამოკიდებულია ქვეყნის სპეციფიკასთან, ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობასთან, ეკონომიკური, ფინანსური, მათ შორის ფისკალური პოლიტიკის პრიორიტეტებთან. ზოგი ტრანსფერი ცენტრალიზებულ ხასიათს ატარებს, მაშინ როდესაც ზოგიერთი დეცენტრალიზიისკენაა მიმართული. ტრანსფერების განაწილება ზოგ ქვეყანაში კონსტიტუციურადაა დეკლარებული, ზოგან კი პრეზიდენტის მიერ გამოცემული ნორმატიული დოკუმენტით ან ყოველწლიური კანონმდებლობით რეგულირდება.

თითქმის ყველა ქვეყანაში არის შეუსაბამო ადგილობრივი ხელისუფლების ხარჯებსა და შემოსავლებს შორის. ეს განსაკუთრებით გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში იგრძნობა, სადაც სახელმწიფოს უმთავრეს პრიორიტეტებს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნა და ეკონომიკური სტაბილურობის დაცვა და შენარჩუნება წარმოადგენს. ადგილობრივ ხელისუფლებას არ შესწევს იმის უნარი, რომ საკუთარი შემოსავლებით დააფინანსოს ყველა შესაბამისი ხარჯი და ეს სხვაობა, როგორც წესი, შეიძლება დაიფაროს ორი გზით: 1. საგადასახადო ავტონომიის დელეგირება, ანუ მიეცეს ადგილობრივ ხელისუფლებას საკუთარი შემოსავლების მიღების საშუალება; და 2. მიეცეს მას ტრანსფერი ცენტრალური ხელისუფლებიდან.

სატრანსფერო სისტემის მეთოდოლოგიის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია ორი ფაქტორის გათვალისწინება:

ვერტიკალური ფისკალური ბალანსის გაზომვა. იმისთვის, რომ განისაზღვროს თუ რა ოდენობის ტრანსფერია საჭიროა, აუცილებელია იმის ცოდნა თუ რა სხვაობაა ადგილობრივი

ხელისუფლების შემოსავლებსა და ხარჯებს შორის. რაც საკმაოდ სუბიექტურია, რადგან ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გასაწევი ხარჯების და შესაბამისი ვალდებულებების ოდენობა თითქმის განუსაზღვრელია. ბევრ ქვეყანაში, სადაც გამოყენებულია ვერტიკალური ბალანსის მეთოდი, განისაზღვრება ეგრედ წოდებული “მომსახურების მინიმალური დონე” (ანუ ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გასაწევი ხარჯების მინიმალური დონე) და დარჩენილი სხვაობა იფარება ტრანსფერებით. ბევრგან კი, ტრანსფერების ოდენობა განისაზღვრება უფრო მეტად ცენტრალური ბიუჯეტის შესაძლებლობებიდან გამომდინარე და არა ადგილობრივი ხელისუფლების მინიმალური საჭიროებებიდან გამომდინარე.

ვერტიკალური ბალანსის მეთოდოლოგიას და შემოსავლების ეფექტურ გადაწოდებას შორის შეუსაბამობა. მაგალითად, ვერტიკალური ბალანსის მიდგომამ შეიძლება დაადგინოს, რომ ადგილობრივი ხელისუფლება იღებს განსაზღვრული ოდენობის ტრანსფერს, მაგრამ ამავე დროს, შესაძლებელია ადგილობრივი საგადასახადო შემოსავლებითაც დაფინანსდეს ამ ხარჯების ნაწილი. გამოვა, რომ ის მომსახურება, რომელიც ადგილობრივი გადასახადებით შეიძლება დაფინანსდეს, შესაძლოა დაფინანსებული იქნას ტრანსფერების მეშვეობით.

ძალიან მნიშვნელოვანია ეგრედ წოდებული გამოთანაბრების პრინციპი. განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები ხასიათდებიან რეგიონებს შორის ეკონომიკური და სოციალური სხვაობებით. საშუალო შემოსავლების მიხედვით ქვეყნების მდიდარი რეგიონების ეკონომიკური და სოციალური მაჩვენებლები მნიშვნელოვნად აღემატება ღარიბი რეგიონების ანალოგიურ მაჩვენებლებს (ზოგ ქვეყანაში ოცჯერაც კი). იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივი ხელისუფლებას მიეცემა უფრო დიდი საგადასახადო ავტონომია, რეგიონებს შორის სხვაობა კიდევ უფრო გაიზრდება, ვინაიდან უფრო მეტად განვითარებულ და ურბანულ რეგიონებს გაცილებით დიდი საგადასახადო ბაზა და გამართული ადმინისტრაციული ინფრასტრუქტურა გააჩნიათ. გამოთანაბრების სისტემა იძლევა იმის საშუალებას, რომ აღმოიფხვრას შეუსაბამობა როგორც ვერტიკალურ ჭრილში ხელისუფლების დონეებს შორის, ასევე ჰორიზონტალურად ქვეყნის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებს და რეგიონებს შორის. თუ ქვეყნებს სურთ, რომ გათანაბრდეს რეგიონების ფინანსური და ეკონომიკური სხვაობა, ამის საუკეთესო საშუალებაა გამოთანაბრების ტრანსფერი. თუმცა აქ ბუნებრივია ჩნდება კითხვა, თუ რა უნდა იყოს გამოთანაბრების საფუძველი – შემოსავლების დონე, ფისკალური შესაძლებლობები, საჭირო დანახარჯების ოდენობა და პრიორიტეტულობა, თუ ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების ოდენობა. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია მდიდარ და ჩამორჩენილ რეგიონებს შორის არსებული სხვაობის საშუალო მაჩვენებლის მიღება.

ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია გამოთანაბრების სისტემა. კერძოდ:

- ბევრ ქვეყანაში შექმნილია სპეციალური სტრუქტურა, რომელიც სხვადასხვა დონის ადმინისტრაციული მმართველობითი ორგანოდან იღებს ფინანსურ სახსრებს და ტრანსფერის სახით და მოთხოვნის შესაბამისად, ანაწილებს მას სხვადასხვა ადგილობრივ ორგანოებში;
- ბევრ ქვეყანაში ცენტრალური ხელისუფლება (ცენტრალური ან სახელმწიფო ბიუჯეტი) გამოყოფს გრანტებს ადგილობრივი ორგანოებისთვის;
- ზოგან კი ხდება ზიარი გადასახადების გადანაწილება სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის.

პირველი მეთოდი ძირითადად გამოიყენება იმ ქვეყნებში, სადაც რეგიონებს შორის შეუსაბამობა უმნიშვნელოა. ხოლო, მეორე მიდგომა დამახასიათებელია იმ ქვეყნებისთვის, სადაც რეგიონებს შორის ფინანსური და ეკონომიკური სხვაობა დიდია.

მაგალითად, *ისლანდიაში* მოქმედებს მუნიციპალური გამოთანაბრების ფონდი, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტებზე როგორც ერთჯერადი, მიზნობრივი, ასევე სპეციალური გრანტების გაცემას (ძირითადად იმ რეგიონებზე სადაც შედარებით დაბალია შემოსავლების დონე).

80-იანი წლების დასაწყისში *ნორვეგიაში* შემოღებული იქნა მიზნობრივი გრანტების სისტემა, რომელმაც შეცვალა მანამდე არსებული 50-მდე სპეციალური გრანტი. ხოლო, 90-იანი წლების დასაწყისში შემოღებული იქნა სექტორული გრანტები (ჯანდაცვა, ტრანსპორტი, დაწყებითი და საშუალო საგანმანათლებლო დაწესებულებები, კულტურის სფერო და სოციალური დახმარება).

შვედეთში 1996 წელს შემოღებული იქნა გამოთანაბრების სისტემა მუნიციპალიტეტებისთვის და ოლქებისთვის. შედეგად, მუნიციპალიტეტების და ოლქების შემოსავლები გათანაბრდა ქვეყნის საშუალო მაჩვენებელთან. მას შემდეგ, რაც სპეციალური გრანტები შეცვალა ძირითადმა გრანტებმა, მნიშვნელოვნად შემცირდა ცენტრის კონტროლი მუნიციპალიტეტებზე.

ნიდერლანდებში ძირითადი გრანტები მიედინება მუნიციპალური და პროვინციული ფონდიდან, რომელიც წარმოადგენს ცენტრალური ხელისუფლების ადმინისტრაციულ ორგანოს.

ირლანდიაში საუბარია, რომ შემოღებული იქნას ფორმულაზე დაფუძნებული გრანტების გადანაწილების სისტემა.

პორტუგალიაში ადგილობრივი ხელისუფლების შემოსავლების ძირითად წყაროს წარმოადგენს ცენტრალური სახელისუფლებო ორგანოს ფინანსური გამოთანაბრების ფონდი, რომელიც გამოყოფს მიზნობრივ გრანტებს.

შეიცარაში მოქმედებს კონფედერაციასა და კანტონებს შორის ერთიანი გამოთანაბრების სისტემა.

ავსტრალიის თანამეგობრობის გრანტების კომისია იძლევა ყოველწლიურ რეკომენდაციებს შტატებს შორის ჰორიზონტალური გამოთანაბრების თაობაზე. ყოველ შტატში მოქმედებს ადგილობრივი გრანტების კომისია, რომელიც გამოთანაბრების ფორმულაზე დაყრდნობით ანაწილებს ტრანსფერებს.

მექსიკას ქვეყნის რეგიონებს შორის შეუსაბამობის სერიოზული პრობლემები გააჩნია. იქ მოქმედებს ახალ შექმნილი მუნიციპალური ხელშეწყობის ფონდი, რომელიც დახმარებას უწევს დაბალშემოსავლიან ადგილობრივ ორგანოებს, რათა მათ მიიღონ ცენტრალური ხელისუფლების დახმარება.

მთლიანობაში, ქვეყნის სპეციფიკიდან გამომდინარე, სატრანსფერო სისტემა შეიძლება ორიენტირებული იყოს ორ ძირითად მიმართულებაზე:

1. სტანდარტული ხარჯის უზრუნველყოფა;
2. მთლიანი გამოთანაბრება, ანუ ჩამორჩენილი რეგიონების სუბსიდირება.

ბევრ ქვეყანაში ტრანსფერის ოდენობის განსაზღვრისას საკმაოდ აქტიური დებატები მიმდინარეობს ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის. ხშირ შემთხვევაში, ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან იგნორირებულია ადგილობრივი ხელისუფლების მოთხოვნები.

გარდა ამისა, იმ შემთხვევაში თუ ქვეყანაში სამ დონიანი ხელისუფლებაა და ტრანსფერი ეძლევა რეგიონულ ან შტატის მთავრობას, შესაძლოა ტრანსფერმა ვერ მიაღწიოს ადგილობრივ დონეზე, იქ სადაც ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილის გაწევა ხდება. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია ის საკითხი, თუ როგორ გაანაწილებს თანხებს შუამავალი ხელისუფლება.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ცენტრალურ ხელისუფლებას უფრო ეფექტურად შეუძლია გადასახადების ამოღება და მას ეს უფრო იაფი უჯდება ვიდრე ადგილობრივ ხელისუფლებას. ამიტომ ძირითადად, გადასახადების ადმინისტრირება ხდება ცენტრალურ დონეზე და შემდეგ ნაწილდება ტრანსფერები. მაგრამ არის გადასახადები, რომლებიც უფრო ეფექტურად და იაფად ადმინისტრირდება ადგილობრივ დონეზე. მაგალითად, ქონების გადასახადი, ავტომობილების ფლობის გადასახადი, მოსაკრებლები, ისეთები როგორცაა ადგილობრივი ლიცენზიების და ნებართვების გაცემის მოსაკრებლები.

განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისთვის დამახასიათებელია რამდენიმე ნიშანდობლივი ფაქტორი, რომელიც არსებით გავლენას ახდენს ფისკალურ დეცენტრალიზაციაზე. მათგან მნიშვნელოვანია ორი მათგანი:

- ცენტრალური ხელისუფლება ცდილობს ხელიდან არ გაუშვას ფინანსური და ეკონომიკური კონტროლი და რაც შეიძლება ნაკლები ავტონომია მიანიჭოს ადგილობრივ ხელისუფლებას;
- ზოგ ქვეყანაში არსებობს შეხედულება, რომ ადგილობრივი ხელისუფლება უფრო მეტად კორუმპირებულია ვიდრე ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებაზე ელექტორატის გავლენა უფრო დიდია. ამიტომ, ფიქრობენ, რომ ადგილობრივ ხელისუფლებაზე დიდი პასუხისმგებლობის მიცემამ შეიძლება შემოსავლების არაეფექტური ხარჯვა გამოიწვიოს.

გერმანია

გერმანიაში კონსტიტუციის საფუძველზე შექმნილია სამ დონიანი დამოუკიდებელი ადგილობრივი ხელისუფლება. კონსტიტუცია აკონკრეტებს ყველა მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც დაკავშირებულია მთავრობათაშორის ფინანსურ ურთიერთობებთან. შემოსავლებთან, მათ დაგეგმვასთან და ადმინისტრირებასთან დაკავშირებული დებულებები კონსტიტუციის საფუძველზე დეტალურადაა გაწერილი კანონებში.

ზოგიერთი გადასახადის ადმინისტრირება ექსკლუზიურადაა განსაზღვრული ადგილობრივი ხელისუფლების დონეების მიხედვით. ხოლო, ყველა ძირითადი გადასახადიდან მიღებული შემოსავლები განაწილებულია ფედერალურ დონეს, მიწებს და მუნიციპალიტეტებს შორის. ზიარი გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები კი მიწებს შორის გამოთანაბრებითი ტრანსფერის მეშვეობით განაწილებულია ჰორიზონტალურად და სპეციალური დამატებითი ტრანსფერების სახით ვერტიკალურად. ორივე სახის ტრანსფერის განაწილება დარეგულირებულია სპეციალური კანონმდებლობით.

გარდა ამისა, კონსტიტუცია უფლებას აძლევს ფედერალურ მთავრობას გამოეყოს ტრანსფერები სპეციალური მიზნებისთვის. მაგალითად, საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის.

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნას ადგილობრივი ხელისუფლების ეფექტური საქმიანობა, თითოეულმა ადგილობრივმა ორგანომ დამოუკიდებლად უნდა დააფინანსოს კანონით განსაზღვრული ძირითადი ხარჯები. მიწების ძირითად ხარჯვით კომპეტენციას წარმოადგენს განათლება (მათ შორის უმაღლესი სასწავლებლები) და ჯანდაცვა. თუმცა, უნდა აღინიშნოს რომ ამ კუთხით და ასევე, სხვა სფეროებში (მათ შორის სოციალური დაცვა) ფედერალური მთავრობის და ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციები ერთმანეთს ფარავს. ბევრი საინვესტიციო პროექტი ერთობლივად ფინანსდება, როგორც ფედერალური, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების ორივე შტოს მხრიდან.

მთლიანი საბიუჯეტო ხარჯების ერთი მესამედი (თუ არ ჩავთვლით ტრანსფერებს) გაწეულია ადგილობრივი ხელისუფლების მიერ, რაც 2003 წლის მონაცემებით შედარებით ნაკლებია ვიდრე ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის სხვა წევრ ქვეყნებში (OECD) (მაგალითად, კანადა და შვეიცარია) და მეტი ვიდრე ავსტრია.

საფრანგეთი

საფრანგეთში არსებობს სამ დონიანი ადგილობრივი ხელისუფლება, რომელიც მოიცავს 26 რეგიონს, 100 დეპარტამენტს და 36 763 მუნიციპალიტეტს. ისეთი ფედერალური სახელმწიფოსგან განსხვავებით, როგორც გერმანია, კონსტიტუცია არ განსაზღვრავს ადგილობრივი ხელისუფლების საშემოსავლო და ხარჯვით კომპეტენციას. კონსტიტუცია მინიშნებას აკეთებს იმ შესაბამის კანონებზე, რომლებიც არეგულირებენ ადგილობრივი ხელისუფლების ფინანსურ და ეკონომიკურ კომპეტენციას. კონსტიტუციის 72-2 მუხლი ამბობს:

- ადგილობრივ მთავრობებს შეუძლიათ გამოიყენონ კანონით განსაზღვრული საგადასახადო შემოსავლები;
- ადგილობრივი ხელისუფლების ძირითად რესურსს წარმოადგენს კანონით განსაზღვრული საკუთარი წყაროებიდან მიღებული შემოსავლები;
- კანონის შესაბამისად, ცენტრალურიდან ადგილობრივ ხელისუფლებაზე ხარჯვითი კომპეტენციის გადაცემა თან უნდა სდევდეს საკუთარი შემოსავლების ზრდას;
- გამოთანაბრების მექანიზმი განსაზღვრულია კანონით.

ადგილობრივი მთავრობის კოდექსი, რომელიც აერთიანებს ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის მარეგულირებელ დებულებებს, ოთხი ძირითადი ნაწილისგან შედგება. პირველი ნაწილის შესაბამისად, შექმნილია ადგილობრივი ფინანსების კომიტეტი, რომელიც აერთიანებს წარმომადგენლებს პარლამენტის ორივე პალატიდან, ცენტრალური ხელისუფლებიდან, რეგიონებიდან, დეპარტამენტებიდან და მუნიციპალიტეტებიდან (მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები). კომიტეტი ამზადებს ადგილობრივი ფინანსების ყოველწლიურ მოხსენებას და სწავლობს ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გაწეული და გასაწევი ხარჯების საშუალოვადიანი განვითარების მდგომარეობასა და პერსპექტივებს. კოდექსის მეორე, მესამე და მეოთხე ნაწილები მოიცავენ მუნიციპალიტეტების, დეპარტამენტების და რეგიონების საქმიანობასთან დაკავშირებულ დებულებებს. ადგილობრივი ბიუჯეტის სამივე დონისთვის, კოდექსი აწესებს საშემოსავლო და ხარჯვით, საბიუჯეტო და

საბუღალტრო მოთხოვნებს, გარდა ამისა, სპეციალური პროგრამებს დიდი ქალაქებისთვის და სპეციფიკური ადგილობრივი თვითმმართველობისთვის.

ესპანეთი

ესპანეთში დეცენტრალიზაციის პროცესი დაიწყო 1978 წლიდან, მას შემდეგ რაც მიღებული იქნა ახალი კონსტიტუცია. 2002 წელს ჯანდაცვის მომსახურების მთლიანად ადგილობრივ ორგანოებზე გადატანამ ესპანეთი აქცია ევროპის ერთ-ერთ ყველაზე დეცენტრალიზებულ ქვეყნად.

კონსტიტუცია უზრუნველყოფს ადგილობრივი ხელისუფლების ფინანსურ ავტონომიას. ადგილობრივი ბიუჯეტები ყოველწლიურად მტკიცდება ცენტრალური ბიუჯეტის დამტკიცებასთან ერთად. კონსტიტუციაში ჩამოთვლილია ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების შემოსავლების წყაროები:

1. მთლიანად ან ნაწილობრივ განაწილებული ცენტრალური ზიარი გადასახადები;
2. ადგილობრივი ორგანოების საკუთარი გადასახადები;
3. ტერი;
4. ტერიტორიებათაშორისი საანაგრიშგებო ფონდის მეშვეობით განხორციელებული ტრანსფერები;
5. საკუთარი ქონებიდან და საწარმოებიდან მიღებული შემოსავლები;
6. საკრედიტო ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლები.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივ ბიუჯეტებში განხორციელებული ტრანსფერები უზრუნველყოფენ სახელმწიფოს მიერ გასაწევი მომსახურების ხარჯების დაფარვას. ტრანსფერები გამიზნულია რეგიონებს შორის გამოთანაბრებაზე.

ადგილობრივი ორგანოები ასევე იღებენ სპეციალურად გამიზნულ ტრანსფერებს, რათა უზრუნველყოფილი იქნას ჯანდაცვასა და განათლებასთან დაკავშირებული მინიმალური ხარჯების დაფინანსება.

ამერიკის შეერთებული შტატები

აშშ-ს ფინანსურ-მმართველობითი სისტემა არც თუ ისე დეცენტრალიზებულია და მაღალ ავტონომიას ანიჭებს ადგილობრივ ხელისუფლებას. შტატები საკუთარი ხარჯების დაახლოებით სამ მეოთხედს საკუთარი წყაროებიდან ფარავენ. შტატები აწესებენ

გადასახადებს, განკარგავენ სახელმწიფო ფინანსებს და გააჩნიათ პირდაპირი წვდომა ფასიანი ქაღალდების ბაზარზე. შტატების ბიუჯეტი არ მოწმდება და არ მტკიცდება ფედერალური მთავრობის მიერ.

რაც შეეხება ფედერალურ ტრანსფერებს და დახმარებებს, შტატები უფრო მეტად დამოკიდებული არიან შტატების დახმარებებზე, ვიდრე ფედერალურ გრანტებზე. სხვადასხვა მმართველობით ღონეებს შორის ფინანსური ურთიერთობა შემდეგი ფორმებით ხორციელდება:

- გამოთანაბრებითი სქემები. შტატების უმრავლესობა სარეგულბოს სკოლების ფინანსური გამოთანაბრების სისტემით, რისი მეშვეობითაც ხდება საჯარო სკოლების სუბსიდირება.
- გრანტები გლობალური პროექტებისთვის და ფედერალური გრანტები. გრანტები პროექტებისთვის გაიცემა კონკურენციის პირობებში ფედერალური დაწესებულებების (მაგალითად, განათლების დეპარტამენტი ან ტრანსპორტის დეპარტამენტი) განაცხადების საფუძველზე. ფედერალური გრანტები წარმოადგენენ შტატებზე გაცემულ ტრანსფერებს. ფედერალური დაწესებულებები შტატებიდან და ადგილობრივი მმართველობითი ორგანოებიდან ითხოვენ გრანტების ათვისების და გამოყენების გეგმას. მთლიანობაში, აშშ-ში არის 700 სხვადასხვა საგრანტო პროგრამა.
- ფედერალური დახმარება. შტატებზე და სხვა ადგილობრივ მმართველობით ორგანოებზე ფედერალური დახმარება მოიცავს გრანტებს, სესხებს და საგადასახადო სუბსიდიებს. დახმარების მიმღები ძირითადი სფეროებია ტრანსპორტი, განათლება, სოციალური მომსახურება, ჯანდაცვა და სხვა.
- შტატების დახმარება. შტატების დახმარება ნაწილდება ადგილობრივ ორგანოებზე გამოთანაბრებითი ფორმულის მეშვეობით.

კანადა

ფისკალური დეცენტრალიზაციის ხარისხით გამორჩეული ქვეყანაა კანადა, სადაც პროვინციებს დიდი საგადასახადო და ხარჯვითი ავტონომია გააჩნიათ და ადგილობრივი ორგანოების საქმიანობაში ფედერალური მთავრობის ჩარევა მინიმალურია. ფინანსური ურთიერთობები დარეგულრებულია ფედერალურ-ადგილობრივი ფისკალური მოწყობის აქტით. პროვინციებზე მიცემულ ტრანსფერებს განსხვავებული ფორმები აქვთ. 1867 წელს მიღებულ კონსტიტუციაში მოცემულია დებულება გამოთანაბრების, როგორც უმთავრესი ტრანსფერის შესახებ.

გამოთანაბრებითი ტრანსფერი. ეს არის ვერტიკალური ტრანსფერი პროვინციებზე ფედერალური მთავრობიდან, რომელიც გამოიანგარიშება თითოეულ პროვინციაში ერთ სულ მოსახლეზე არსებული შემოსავლების დონის გათვალისწინებით (ბრიტანეთის კოლუმბია, მანიტობა, ონტარიო, კვებეკი და სასკაჩუენი).

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სატრანსფერო სისტემა. სისტემა ეხმარება პროვინციებს ჯანდაცვის, განათლების და სოციალური უზრუნველყოფის მიზნით როგორც ნაღდი ფულით, ასევე საგადასახადო ტრანსფერებით.

ფორმულაზე დაფუძნებული ტერიტორიული დაფინანსება. ეს არის ფედერალური მთავრობის წლიური უპირობო ტრანსფერი ჩრდილოეთის ტერიტორიების მთავრობებზე, რაც ეხმარება ადგილობრივ ხელისუფლებას სახელმწიფო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაში.

იაპონია

იაპონიაში არის ორ დონიანი ადგილობრივი ხელისუფლება, რომელიც მოიცავს პრეფექტურებს და მუნიციპალიტეტებს. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას შეუძლია დააწესოს და ამოიღოს გადასახადები, ამ პროცესის მართვა ძირითადად მაინც ცენტრალიზებულია და ადგილობრივი ხელისუფლების შემოსავლები დიდადაა დამოკიდებული ცენტრალური ხელისუფლებიდან მიღებულ დახმარებებზე. ადგილობრივი წყაროებიდან მიღებული შემოსავლები მთლიანი ადგილობრივი შემოსავლების 35-40 პროცენტს შეადგენს. ადგილობრივ ხელისუფლებას აქვს კანონით განსაზღვრული უფლება კაპიტალური დანახარჯების და სახელმწიფო საწარმოების ხარჯების დასაფარად გამოუშვას ფასიანი ქაღალდები (ობლიგაციები). მუნიციპალიტეტი ამას უთანხმებენ პრეფექტურებს, რომლებიც თავის მხრივ ათანხმებენ სახელმწიფო მართვის, საშინაო საქმეების, ფოსტისა და ტელეკომუნიკაციების სამინისტროსთან. გარდა ამისა, ადგილობრივი მთავრობები ცენტრალური ხელისუფლებიდან პირდაპირ იღებენ გრანტებს და შემოსავლებს ზიარი გადასახადებიდან. ცენტრალური ბიუჯეტიდან ადგილობრივ ხელისუფლებაზე გაცემული გრანტები შემდეგნაირად კლასიფიცირდება:

- სპეციალური მიზნებისთვის განკუთვნილი გრანტები. სპეციალური მიზნებისთვის ცენტრიდან ადგილობრივ ხელისუფლებაზე გამოიყოფა ეროვნული სახაზინო ვალდებულებები, რომლებიც სამ ჯგუფად იყოფა: 1. ეროვნული ობლიგაციები, რომლებიც გამიზნულია ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ერთობლივად გასაწევი ხარჯების დასაფარად;

2. ეროვნული საზინის გრანტები, რომლებიც ნაწილდება როგორც სუბსიდიები ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გასაწევი ხარჯების დასაფარად; 3. ეროვნული საზინის ფინანსური სახსრები, რომლებიც განკუთვნილია ცენტრალური ხელისუფლების მიერ გასაწევი ხარჯების დასაფარად.

- გამოთანაბრებისთვის განკუთვნილი ზიარი გადასახადები. სახელმწიფო გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები გადანაწილებულია, რათა დაბალანსებული იქნას ადგილობრივი ხელისუფლების შემოსავლები. გადასახადების მიხედვით, მთლიანი საგადასახადო შემოსავლები ადგილებზე პროცენტულად შემდეგნაირად ნაწილდება: საშემოსავლო, მოგების და ალკოჰოლზე დაწესებული არა-პირდაპირი გადასახადის 32%, მოხმარების გადასახადის (დღგ) 24% და თამბაქოზე აქციზის 25%.
- სპეციალური მიზნებისთვის განკუთვნილი ზიარი გადასახადები. ეს არის ცენტრალური ხელისუფლებიდან ამოღებული გადასახადები, საიდან მიღებული შემოსავლებიც ტრანსფერის სახით გადაეცემათ პრეფექტურებს და მუნიციპალიტეტებს. მაგალითად, ადგილობრივი საგზაო გადასახადი.

სამხრეთ კორეა

ადგილობრივი ხელისუფლების ავტონომიის და სტრუქტურის პრინციპების შესახებ მოცემულია კონსტიტუციაში. სამხრეთ კორეაში არის ორ დონიანი ადგილობრივი ხელისუფლება. 1963 წელს მიღებული ადგილობრივი ფინანსების კანონმდებლობა უზრუნველყოფს ადგილობრივი ბიუჯეტების ავტონომიას და მათ ადგილობრივი გადასახადების დაწესების უფლებამოსილებას ანიჭებს.

სხვადასხვა მთავრობათაშორისი ტრანსფერები უზრუნველყოფენ ადგილობრივ ხელისუფლებებს შორის ფისკალური სხვაობების შემცირებასა და აღმოფხვრას. მაგალითად, ადგილობრივი ხელისუფლების მთლიანი შემოსავლები შეადგენენ ადგილობრივი ხელისუფლების მთლიანი ხარჯების 94%-ს სეულის მეტროპოლისში, ხოლო 50%-ზე ნაკლებია ადგილობრივი ხელისუფლების 80%-ზე მეტში. ამ ფისკალური სხვაობის უდიდესი ნაწილი იფარება ცენტრალური ხელისუფლების ტრანსფერებით, მათ შორის ზიარი გადასახადებით და გრანტებით.

გთავაზობთ იმ კანონმდებლობის ჩამონათვალს, რომელიც არეგულირებს ფისკალურ ურთიერთობებს ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის:

- ადგილობრივი ზიარი გადასახადების აქტი. არეგულირებს ვერტიკალური ზიარი გადასახადების სისტემას. გადასახადი აწესებს ადგილობრივ ღონეებზე ფიქსირებულ მთლიანი სახელმწიფო შემოსავლების განაწილების პროცენტულ მაჩვენებელს (2005 წლამდე იყო 15%, ხოლო 2005 წელს აიწია 18.3%-მდე). ადგილობრივი შემოსავლების დაახლოებით 10/11 არის ძირითადი ტრანსფერი, ხოლო 1/11 სპეციალური მიზნებისთვის განკუთვნილი ტრანსფერი.
- განათლების სფეროსთვის განკუთვნილი ადგილობრივი ზიარი გადასახადების აქტი. კანონი აწესებს მთლიანი საგადასახადო შემოსავლების ფიქსირებულ პროცენტულ მაჩვენებელს (13%), რაც გამიზნულია ადგილობრივი ხელისუფლებისთვის, რათა მათ განახორციელონ ინვესტირება განათლების სისტემაში.
- ეროვნული ხაზინის სუბსიდირების აქტი. ეროვნული ხაზინის სუბსიდიები წამოადგენენ ადგილობრივ ბიუჯეტებზე სპეციალური პროექტებისთვის გამიზნულ გრანტებს. ისინი ნაწილდება ეროვნული პრიორიტეტების შესაბამისად ცალკეული სექტორებისთვის, რაც თავის მხრივ ეფუძნება ადგილობრივი ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ყოველწლიურ ანალიზს.
- რეგიონული ბალანსირებული განვითარების სპეციალური აქტი. კანონი მიღებული იქნა 2003 წელს და მის საფუძველზე შექმნილმა რეგიონული განვითარების ფონდმა ჩაანაცვლა მანამდე არსებული ადგილობრივი ტრანსფერების ფონდი. ფონდის მიზანია ნაკლებად განვითარებულ რეგიონებზე დახმარებების გაწევა.

აქვე გთავაზობთ ფისკალური დეცენტრალიზაციის ხარისხის შედარებით ანალიზს რამდენიმე ქვეყნის მაგალითზე.

ფისკალური დეცენტრალიზაციის შედეგებით ანალიზი რამდენიმე ქვეყნის მიხედვით

კრიტერიუმი	თურქეთი	ჩეხეთი	პოლონეთი	უნგრეთი
ბიუჯეტის ადგილზე მიღება	არ მტკიცდება ადგილზე. პროვინციების გენერალური ასამბლეები ამზადებენ ბიუჯეტის პროექტს და დასამტკიცებლად უგზავნიან საშინაო საქმეების სამინისტროს, რომელიც 30 დღის ვადაში ამტკიცებს ბიუჯეტს.	მტკიცდება ადგილზე. მუნიციპალური ბიუჯეტის მომზადება საკმაოდ გრძელი პროცესია. პროექტი ერთობლივად მზადდება მუნიციპალიტეტების სხვადასხვა ოფისების მიერ და განიხილება საჯაროდ. ბიუჯეტს საბოლოოდ ამტკიცებს მუნიციპალიტეტების საბჭო.		მტკიცდება ადგილზე. ადგილობრივი ბიუჯეტის მომზადების, განხილვის და დამტკიცების პროცედურა დარეგულირებულია სპეციალური კანონმდებლობით.
ადგილობრივი ხელისუფლების კონტროლი შემოსავლებზე	არ გააჩნიათ. ადგილობრივი ხელისუფლებას მხოლოდ გადასახადების და მოსაკრებლების მცირე რაოდენობაზე გააჩნია კონტროლი.	არ გააჩნიათ. მუნიციპალიტეტებს გადასახადების (საგადასახადო ბაზა და განაკვეთები) მხოლოდ შეზღუდულ რაოდენობაზე გააჩნიათ კონტროლი.	გააჩნიათ კონტროლი.	გააჩნიათ კონტროლი.
მთავრობათაშორისი სატრანსფერო სისტემა	ადგილობრივი ხელისუფლების ძირითადი წყაროა მთავრობათაშორისი ტრანსფერები, როგორც პირდაპირი, ასევე ზიარი გადასახადების მეშვეობით.			ხელმისაწვდომი რესურსების საშუალო მაჩვენებელი განისაზღვრება ყოველწლიურად პარლამენტის მიერ. ამ მიმართულებით არ არსებობს ერთიანი წესები. გრანტების სტრუქტურა საკმაოდ გართულებულია.

კრიტერიუმი	ყაზახეთი	ყირგიზეთი	ტაჯიკეთი	სომხეთი
ბიუჯეტის ადგილზე მიღება	მტკიცდება ადგილზე. ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოები (მასლიხატი) ადგილობრივ ბიუჯეტს ამტკიცებენ თვითმმართველობის ყველა დონეზე (რეგიონი, რაიონი, ქალაქი).	არ მტკიცდება ადგილზე. ბიუჯეტის მომზადება და განხორციელება იერარქიული პროცესია (პროვინცია-რეგიონი-ქალაქი). მხოლოდ სოფლებში ხდება ადგილზე ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცება.	მტკიცდება ადგილზე.	მტკიცდება ადგილზე. სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცებიდან ერთი თვის ვადაში ხდება ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცება.
ადგილობრივი ხელისუფლების კონტროლი შემოსავლებზე	არ გააჩნიათ. ადგილობრივ ორგანოებს საკუთარი წყაროებიდან მხოლოდ უმნიშვნელო შემოსავლებს იღებენ. უფრო მეტიც, მათ უმნიშვნელო კონტროლი გააჩნიათ ადგილობრივი ბიუჯეტების დონეებს შორის შემოსავლების გადანაწილებაზე.	არ გააჩნიათ. ადგილობრივ ორგანოებს შემოსავლებზე კონტროლი გააჩნიათ მხოლოდ სოფლის დონეზე. სხვა დონეებზე მოქმედებს იერარქიული კონტროლი.	არ გააჩნიათ. შემოსავლების განაწილების და ათვისების პროცესი კონტროლდება ადგილებზე ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელი ორგანოს მიერ.	არ გააჩნიათ.
მთავრობათაშორისი სატრანსფერო სისტემა	ფინანსთა სამინისტროს მიერ ყოველწლიურად განისაზღვრება ადგილებზე გადასაცემი ტრანსფერების ოდენობა	ტრანსფერები გაიცემა ცენტრალური მთავრობის მიერ იერარქიულად (პროვინცია-რეგიონი-ქალაქი-სოფელი)	ადგილობრივი ბიუჯეტები იღებენ გრანტებს და ტრანსფერებს ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებებს შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე.	ადგილობრივი ორგანოები მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებული ტრანსფერებზე. ტრანსფერების სისტემა საკმაოდ გართულებულია.

